ხელშეკრულება №-65-

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 15 აგვისტო 2013წ.

შპს"ენერგომშენკონსტრუქციაXXI" შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი მისი დირექტორის ა.ფანცულაიას სახით და ფ/პ "გიორგი კაიშაური" შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", მოქმედნი საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი, ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.
4. „მხარე" ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს.
5. „მხარეები" ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს ერთად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გავაფორმეთ წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველი **შპს "ენერგომშენკონსტრუქციაXXI"**

მიმწოდებელი **ფ/პ " გიორგი კაიშაური"**

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში „ხელშეკრულება") – ნიშნავს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ჯამური ღირებულება" ნიშნავს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტში მითითებულ თანხას, როებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „შემსყიდველი" ნიშნავს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით "ა"-ქვეპუნქტით განსაზღვრული სახსრებით შესყიდვის განმახორციელებელ პირს.

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების ფასის ფარგლებში 125(ასოცდახუთი)ლარი (CPV -- 63100000 -ტვირთის გადაზიდვის და შენახვის მომსახურებები).

2.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

მუხლი 3. საქონლის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

3.1 საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013წლის 20 აგვისტოს ჩათვლით შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5დღის ვადაში.

3.2 საქონლის მიწოდების ადგილი – ქ. თბილისი.

მუხლი 4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 100(ას) ლარს ხელსე გაცემით.

მუხლი 5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

5.1 ანგარიშსწორების ფორმა ნაღდი
5.2 ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი
5.3 ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ბრალეული მხარე დაზარალებულ მხარეს აუნაზღაურებს დოკუმენტალურად დადასტურებულ მიყენებულ ზიანს, საქაროველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.2 მიმწოდებელი პასუხს აგებს მისთვის დაკისრებული ვალდებულებების სათანადო შესრულებისათვის და ვალდებულია აანაზღაუროს მისი ქმედებით დამდგარი ყველა სახის ზიანი.

6.3 მიმწოდებლის მიერ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მას ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მუხლი 7. ხარისხი

7.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს მიწოდებული საქონლის ხარისხზე.

მუხლი 8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) და ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში წარუდგინოს მიმწოდებელს დასაბუთებული პრეტენზია, რის შემდეგ შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი გადაუხადოს შესაბამისი წუნდებული მიწოდებული საქონლის ღირებულების გამოკლებით.
8.2 ხელშეკრულების შესრულებას (ინსპექტირებას) განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის წევრი ზეიად მესხი.

მუხლი 9. საქონლის მიღება–ჩაბარების წესი

9.1 საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.
9.2 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით ან უხარისხოდ (წუნდებული) მიწოდებულ საქონელზე. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი თავისუფლდება ხელშეკრულების ფასის გადახდის ვალდებულებისაგან.

მუხლი 10. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

10.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი;
ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ნებისმიერ სადაო საკითხებზე;
10.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) დროულად აცნობოს მიმწოდებელს მიწოდებულ საქონელთან დაკავშირებული ხარვეზების შესახებ;
ბ) გადაიხადოს ხელშეკრულების ფასი.

მუხლი 11. ფორს-მაჟორი

11.1 წინამდებარე ხელშეკრულებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მიმწოდებლისა და/ან შემსყიდველის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით - და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.2 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.3 ფორს-მაჟორული სიტუაციის 10 დღეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მეორე მხარეს.

მუხლი 12. ხელშეკრულების დადების საფუძველი

12.1 ხელშეკრულების დადების საფუძველი არის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის “ს”ქვეპუნქტი.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს.

14.2 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელიამხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერით.

14.3 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“

შპს “ენერგომშენკონსტრუქციაXXI”
საიდენტიფიკაციო კოდი 236044473

მისამართი ქ. თბილისი,
ქინძმარაულის ქ 37

ა/ა GE48BG0000000849526100
ბანკი „საქართველოს ბანკი“
დირექტორი [illegible] ფანცულაია

“მიმწოდებელი“

ფ/პ „გიორგი კაიშაური“

პ/№ 01029010367
მისამართი: ქ.თბილისი,ქინძმარაულის შესახვევი,კორპ.16.
ა/ა GE72LB0711187510443000
ს/ს “ლიბერთი ბანკი“

ფ/პ გ.კაიშაური